საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული მომზადების პროგრამა

საბაჟო დეკლარირება

თბილისი 2020

1. **ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ**

პროგრამის სახელწოდება: **საბაჟო დეკლარირება**
პროგრამის სახე: ■ პროფესიული მომზადება □ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: □ 2 □ 3 ■ 4 □ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 15 ერთდროულად შესაძლებელია 2 ჯგუფის, 30 მსმენელის სწავლება
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: **სრული ზოგადი განათლება**
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის იდენტიფიცირებას, წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების დადგენას, საქონლის დეკლარირებას საბაჟო

სისტემის ელექტრონულ პროგრამის საშუალებით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. კანონმდებლობის შესაბამისად, საქონლის კოდის განსაზღვრა მისი დასახელებისა და მახასიათებლების მიხედვით;
2. კანონმდებლობის შესაბამისად, საქონლის წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა;
3. კანონმდებლობის შესაბამისად, საბაჟო პროცედურების/რეექსპორტის მიხედვით იმპორტის გადასახდელის ოდენობის გამოანგარიშება;
4. დეკლარირების მოდულში საბაჟო დეკლარაციის შევსების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების ოპერაციების შესრულება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საბაჟო საქმე (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძ. N018, 02.03.2018; ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №132, 09.08.2018)

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ სრულ ზოგად განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ საბაჟო დეკლარირების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 144 საათს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს **შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“**-ს ბაზაზე და ელექტრონულად, MS TEAMS-ს ელექტრონულ პლატფორმაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A და B სასწავლო გარემოში/ MS TEAMS-ს ელექტრონულ პლატფორმაზე.
მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.
განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. განმსაზღვრელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს დისტანციურად MS TEAMS-ს ელექტრონულ პლატფორმაზე. შეფასება ხორციელდება თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებში. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სერტიფიკატის დანართს.